საქართველოს შემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ერთჯერადი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება—
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 565 ხუთშაბათი, სექტემბრის 6 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

საქ. შემარცხენეთა სოც.-ფედ-თა სარევ. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი

იწვევს ქალაქ ზუგდიდში კვირას, ამა წლის სექტემბრის 9-ს პარტიულ

სამაზრო კონფერენციას

დღის წესრიგი:

1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
3) მოხსენებანი ადგილებიდან.
4) მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . 3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 4 000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 150.000 „

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

სასოფლო-სამეურნეო აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. სახელმწიფოს მაშინ შეეძლება მეურნეობის რაციონალურად დაყენება, როდესაც მის ხელთ იქნება სწორი, დამუშავებული ცნობები თუ სად და რამდენი რა მოგვეპოება, რისი განვითარების პირობები არსებობს და რა მდგომარეობაშია ქვეყნის მეურნეობის განვითარება.

ევროპის ქვეყნებში მეტად დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას. იქ სახელმწიფომ იცის ქვეყნის მეურნეობის არსებული სახე და მომავლის შესაძლეობანი. ჩვენში ამ მოვლენას მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა. ჩვენი გლეხის მეურნეობას არავინ უკვირდებოდა, არ აშენებდა საცდელ მინდვრებს, არ სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურას, არ ცდილობდა მის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო დღეს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სოფლის საკითხს, რაც არსებითად გლეხის მეურნეობის საკითხს შეადგენს.

ცხადია, დღეს სოფელი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. სოფელი დღეს ხორბლეულის გაუსაღებლობის ნიადაგზე განიცდის ვასაჭირს. ეს დროებითი მოვლენაა და მისი დაძლევა უნდა მოხდეს ადრე და მალე. უფრო მეტი და დიდი მნიშვნელობის გასაჭირი სოფელს აქვს მეურნეობის პრიმიტივობის გამო. მთავარი ფრონტი აქ არის სოფლის აღდგენისათვის. ამისათვის კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სამეურნეო აღწერას.

როგორც მრეწველს არ შეუძლია თავისი სამრეწველო ააღორძინოს და გაუძღვეს მას გარეშე მისი ძოწველობის ანგარიშში ძოყვანისა, ისე სახელმწიფოს არ შეუძლია საიმედო ნაბიჯის გადადგმაც გარეშე ცნობებისა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების შესახებ.

როგორც კორესპონდენტები გვაუწყებენ მცხოვრებნი დიდი ხალისით ეკიდებიან აღწერას. არ არის შიში აღწერისადმი, რომელსაც ხშირად აქვს ხოლმე ადგილი აღწერის დროს.

ეს კი უმთავრესია. თუ მცხოვრებნი უნდობლობით ეკიდებიან აღწერას, მას შეუძლია სრულიად შეუფერებელი სურათის მოცემა. ამ შემთხვევაში აღწერა თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

ჩვენმა გლეხებმა, მიწის მუშებმა, კარგად უნდა გაითვალისწინონ აღწერის როლი და მნიშვნელობა მათთვის, კიდევ უფრო მეტი ხალისით და თანაგრძნობით უნდა მოეკიდონ მას. აღწერა მას მისცემს დაუფასებელ შედეგებს, სახელმწიფო შესძლებს თანაბრად, სისტემატიურად და მიზანშეწონილად აწარმოოს სასოფლო-მეურნეობის აღდგენის საქმე. ეს კი გლეხის მეურნეობის აყვავების საქმეა, ეს უდრის საქართველოს ეკონომიურად გაღონიერებას.

ჩაღლი-ცეპვეგები

ზაკროსტას ცნობები 5 სექტემბრიდან.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალია არ ენდობა ერთა ლიგას. კონფლიქტი, მუსსოლინის აზრით, ეხება მხოლოდ იტალიასა და საბერძნეთს. ხოლო, თუ საერთაშორისო ტრიბუნალი ჰააგაში გადასწყვეტს ერთა ლიგის ჩარევის საჭიროებას, მაშინ იგი ამ გადაწყვეტილებას წინააღმდეგობას აღარ გაუწევს.

მუსსოლინმა ხელმეორედ გაიმეორა, რომ კორფუს დაჭერა დროებითი ზომაა, და გაიყვანს ჯარებს, როგორც კი საბერძნეთი შეასრულებს ყველა მოთხოვნილებებს.

მიიღებს თუ არა საბერძნეთი მცირე ანტანტისაგან დახმარებას ჯერ არ იციან.

ათინიდან მიღებულ ცნობებით საბერძნეთის გემმა სროლა აუტეხა იტალიის წყალქვეშა ნავს და ტყვედ ჩაიგდო.

ერთა ლიგა არ ჩქარობს. საბერძნეთის მიმართვის განხილვა კონფლიქტში ჩარევის შესახებ გადადებულია რამდენიმე დღით.

იტალიის ადმირალმა ბელლინმა საბერძნეთის გემებს აუკრძალა ოტრანტოს არხში შესვლა.

საბერძნეთი აცხადებს, რომ თუ ერთა ლიგა არ ჩაერია კონფლიქტში, იგი იძულებული იქნება იარაღს მიმართოს.

სკანდინავიის პრესა არ ამართლებს კორფუს დაჭერას და ადარებს მას რურის ოკუპაციას. გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ მუსსოლინს სთვლის საერთო მტრად.

მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიიდან მიღებული ცნობები საშინელ ამბებს გადმოგვცემენ. ტოკიო და იოკაჰამი ისევ ცეცხლშია გახვეული, რადგანაც წყალსადენის გაფუჭების გამო მასთან ბრძოლა შეუძლებელია.

მთა ფუძიამას გარშემო მდებარე პატარა ქალაქები მოსპობილია.

დაზარალებულ რაიონებში დიდი ნაკლებობაა სურსათისა. ლაპარაკობენ სურსათის ჩინეთიდან მოტანისა და ჩინეთიდან იაპონიის სამხედრო საწყობების უკან დაბრუნების საჭიროებაზედ.

იოკაჰამში გაიგზავნა ამერიკის ესკადრა.

ეხება რა იაპონიის კატასტროფას, პეკინის პრესსა ფიქრობს, რომ იაპონია ამ ზარალს რამდენიმე წელს ვერ აანაზღაურებს.

მუშათა მოძრაობა

პრაგა. (ჩეხო-სლოვაკია). სამთო-მადნო მრეწველობის მუშადა გაფიცვა გრძელდება.

რომი. იტალიაში კომუნისტების დაპატიმრების გამო, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება ბრალდებათ, იტალიის კომპარტიის ცეკა აცხადებს: „კომპარტია შეთქმულებებს არ აწყობს. პირიქით ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება არის პოლიტიკურ ავანტიურისტების შეთქმულების შედეგი, პროლეტარიატის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ კაპიტალის დიქტატურისთვის ბრძოლა, რომელიც შეიძლება უკუგდებულ იქნეს მხოლოდ მუშათა ორგანიზაციის მიერ. ამიტომ იტალიის კომპარტიას არ შეუძლია ხელი აიღოს არალეგალურ მუშაობაზე“.

პეკინი. ჩინეთის კომპარტიამ მიმართა ხალხს მოწოდებით, სადაც მოითხოვს მოწვეულ იქმნეს ეროვნული კონგრესი შემდგარი სავაჭრო პალატისა, წიწად-მომქმედთა კავშირებისა, მუშათა კავშირებისა და მთელი ხალხის სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კონგრესი უნდა მოწვეულ იქმნეს გუსმინადის პარტიის მიერ, რომლის ისტორიული როლია-ეროვნული რევოლიუცია.

(თვით მოწყობის ტექსტი ხვალ გადაითარგმნება).

კოპენჰაგენი. (დანია). ოდენზაში გაიხსნა დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის 19 ყრილობა. წარმოდგენილია 952 კავშირი. გამოცხადდენ 2 ინტერნაციონალის წარმომადგენელი ტომას შოუ ინგლისისა, გერმანიისა, შვეიციისა, ნორვეგიისა და ფინლიანდიის წარმომადგენელნი.

სტოკჰოლმი. (შვეცია). რიკსდაგის კომუნისტურმა ფრაქციამ წინადადება მისცა მთავრობას მოიწვიოს რიკსდაგის არაჩვეულებრივი სხდომა ბინეტის კრიზისის საკითხის განსახილველად.

ქალაქის თვითმართველობის წევრმა სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს კომუნისტების თხოვნაზე ამავე საკითხის განსახილველად სასწრაფო კრების მოწვევის შესახებ.

ბერლინი. შვეიცარიის ეკონომიური მდგომარეობა უკანასკნელ წელს გაუმჯობესდა. უმუშევართა რიცხვი 100,000 და ჩამოვიდა 20,000-დე. ეს გაუმჯობესება მოხდა უმთავრესად მუშათა კლასის ანგარიშზედ, რომლის ხელფასი დაეცა 25—40 პროც.

უცხოეთი

პარიზი. დაიწყო საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია კონსტანტინოპოლიდან.

დღიური

— მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალია „ერთა ლიგას“ არ ენდობა.
— საბერძნეთი აცხადებს, რომ თუ ერთა ლიგა არ ჩაერია კონფლიქტში, იგი იძულებული იქნება მიმართოს იარაღს.
— ტოკიო და იოკაჰამი ისევ ცეცხლშია გახვეული.

ბერლინი. პოლიციამ დააპატიმრა მიუნხენის კაპიტისტების ბელადი, დოქტორი შნიცლერი, რომელსაც 3 წელიწადზედ მეტს ეძებდნენ.

პეკინი. (ჩინეთი). იაპონიიდან მიღებულ ცნობებით იამანატოს კაბინეთი დაამტკიცა პრინც-რეგენტმა. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა კოტო.

ვენა. (ავსტრია). იტყობინებიან, რომ საბერძნეთის კაბინეტის გადადგომის გამო, ახალი კაბინეტის შედგენა ყველა კონსტიტუციონალურ პარტიების გაერთიანების საფუძველზედ დაევალა ყოფილ პრემიერს ზაიმისს.

ლონდონი. დაბეჯითებით ლაპარაკობენ სტინესსა და შნეიდერ-კრეზოს მწარმოებელ ჯგუფს შორის შეთანხმებაზედ.

კრუპპსა და დუბერს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

რომი. მუსოლინმა განუცხადა გაზეთების რედაქტორებს, რომ ფაშისტურ პრესსის ამოცანა არის თვალ-ყური ადევნონ ფაშიზმის მტრებს.

რომი. ოსმალეთმა ხელშეკრულება დასდვა იტალიის, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტებთან რკინის გზების აღდგენის შესახებ.

საბერძნეთის გაზეთების ცნობით კორფუზედ იმყოფება 20,000 იტალიელი, 4 ჯავშნოსანი და 10 მსუბუქი გემი.

ინგლისის განცხადების ზეგავლენით მისი დაინტერესების შესახებ კონფლიქტში, იტალია ეცდება არ გაამწვავოს საკითხი და დაკმაყოფილდება კორფუზედ დროებით გამაგრებით, ვიდრე საბერძნეთი შეასრულებდეს ყველა პირობებს.

სამხრეთ-სლავიამ განაცხადა, რომ ის სასტიკად დაიცავს ნეიტრალიტეტს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი იტალიის მთავრობის საქციელს კუნძულ კორფუს მიმართ უკულტურობის და პატივმოყვარეობის აქტად სახავს.

ახალი ამბები

— **ქუთაისის თეატრი.** უკვე შესდგა სახელმწიფო აკადემიური დასი. დასი 15 სექტემბრიდან შეუდგება მეცადინეობას. სეზონი დაიწყება 1 ოქტომბერს ალ. შანშიაშვილის პიესით „ბერდო ზმანია“. დახატულია ახალი დეკორაციები და შეიკერა მრავალი ახალი ტანთსაცმელები. დასის ხელმძღვანელი იუზა ზარდალიშვილი უკვე გაემგზავრა ქუთაისს სათეატრო საქმეების საბოლოოთ მოსაგვარებლად.

— **ქინაქინის მიღება მოსკოვიდან.** სოციალურ დამზღვევის სამართველოსთვის რუსეთის სოციალურ დამზღვევის მთავარ სამართველომ გადასდო 78 კილო ქინაქინა. ჯერჯერობით მიღებულია 28 კილო, რომელიც გადაეცა საექიმო დამხმარე ქვეგანყოფილებას რესპუბლიკის პუნქტების გასანაწილებლად.

— **დახმარებების და პენსიების ახალი ნორმები.** რესპუბლიკის სოციალურ დამზღვევის სამართველოს მიერ გამომუშავებულია დამზღვეულთათვის დახმარებების და პენსიებისათვის ახალი ნორმები, რომელთაც გაცილებით გაუმჯობესდება დაზღვეულთა მატერიალური მდგომარეობა.

— **დახმარება ლ. სუხიშვილის სახელობის წინგთ-საცავ სამკითხველოს** სამნეო ხარჯების დასაფარავათ ქ. ალმასკომმა გადადო 60 მილიონი მან.

— **პიტოევისეული კოჯრის აგარაკი დეფექტიან ბავშთა სახლისათვის.** ქალ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა პიტოევისეული აგარაკი გადაეცეს განათლების სახ. კომისარიატს დეფექტიან ბავშთა სახლის გასახსნელად.

— **შაქარი ამიერ-კავკასიისათვის.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა ჰოლანდიაში შეისყიდა ამიერ-კავკასიაში გამოსაგზავნათ 200,000 ფუთი, შაქარი.

—**შრომის ბირჟის ხელ-ახალი აღრიცხვა.** შრომის ბირჟას განზრახული აქვს მოახდინოს უმუშევართა ხელ ახალი აღრიცხვა.

— **სოციალურ დაზღვევის საპოპულიარიზაციო პლაკატები.** რესპუბლიკის სოც. დამზღვევის სამართველოს მიერ შემუშავებულია ქართულ ენაზედ სოციალურ დამზღვევის საკითხების საპოპულიარიზაციო პლაკატები. პლაკატები ამ დღეებში დაეგზავნებათ ყველა ორგანიზაციებს.

— **მტკვრის ნაპირებზე მდინარეში ნაგვის ჩასაყრელად ხის ღარების მოწყობა.** ქალ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა უძრავ ქონებათა სამართველოს სასწრაფოთ მოაწყოს მტკვრის ნაპირზე მდინარეში ნაგვის ჩასაყრელად ხის ღარები.

— **პროპაგანდა სოციალურ დაზღვევისთვის.** რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამართველომ წინადადება მისცა დამზღვევ კასებს მოახდინონ ფართე პროპაგანდა და პოპულიარიზაცია სოციალურ დამზღვევის საკითხებისა.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება.** საქ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო დაარსოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ბანკი და მოახდინოს სახალხო ბანკის სრული გადახალისება.

— **საშა წულუკიძის მშობლების უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადებით შევიდეს სოც. უზრ. სახ. კომისარიატში, რათა ამხ. საშა წულუკიძის მშობლებს დაენიშნოს მუდმივი დახმარება მე-17 ე ცხრილის მიხედვით.

— **საცხოვრებელ ბინების პროექტი.** საცხოვრებელ ბინების პროექტის გამოსამუშავებლად შედგენილი იქნა კომისია ამხ. მიქაძის, ამხ. ჟღენტის, მოდებაძის, ყურულაშვილის და სალარიძის შემადგენლობით.

— **შრომის ბირჟა.** 4 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 502 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 1 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 40 უმუშევარი.

— **საქმის წარმოების განმარტივება.** შრომის კომისარიატმა დაადგინა გამარტივებულ იქნას შრომის ინსპექციების წარმოება-ანგარიშები.

— **მუდმივი ექიმი ჩათახში.** ჯანმრთელობის სახ. კომისართა დადგენილებით საექიმო დახმარების მიზნით ჩათახში ინიშნება მუდმივი ექიმი.

— **ქურდობა.** მე-5-ე რაიონში ბოროტ-მოქმედების მიერ იქნა გაქურდული მოქ. სარქის ათაბეგოვის ბინა. ბოროტ-მომქმედები შეპყრობილ იქნა. ნაწილი ნივთებისა აღმოჩნდა.

— **ქურდობა.** მე-8-ე რაიონში შეპყრობილ იქნა მამედ იმარ-ოღლი, რომელსაც მოუპარავს მე-5-ე უბანში ვორონწკონის ქუჩა № 10 მოქ. მამედ ისმაილ ოღლის საპნის ქარხნიდგან ოთხი ტომარა წებო. დამნაშავე ალმოჩენილი წებოთი გადაგზავნილ იქნა სისხლის სამართლის მილიციაში.

— **თამბაქოს ქარხნის გატეხა.** მე-10 ე ნამილიციო რაიონში, დილის 4—5 საათზე გაუტეხიათ თამბაქოს ქარხანა ამხ. „ფენიკსი". წაღებულია 150 ცალი პაპიროსი ღირებული 500,000,000 მან. ბოროტ-მომქმედები ჯერ-ჯერობით არ არის ალმოჩენილი. სწარმოებს გამოძიება.

— **ვალიუტის კურსი.**

5 სექტემბერი.

ჩერვონეცი	47,000,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	46,100,000 „
ჩეკი.	44,500,000 „
დოლარი ეფექ.	10,100,000 „
ჩეკი.	9,300,000 „
ოსმალური ლირა	6,525,000 „
საბჭოთა ფული	21,000 „

მუშათა ცხოვრება

ბორჯომ-წალვერის დასასვენებელ სახლებში მყოფი მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება უგზავნის საუკეთესო სურვილებს საქ. მთავრობას და პროფკავშირთა საბჭოს დარწმუნებულნი, რომ კიდევ უფრო გაამჯობესებენ მუშათა ცხოვრებას.

გაუმარჯოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

დასასვენებლად მოსულთა კრების მონდობილობით **გ. ვასაძე.**

—:—

გორის მაზრის სოფელ ხოვლის ალმასკომის თავმჯდომარეს.

სამტრედიის ნავთსადენი სადგურის გამგესი ამაევ სოფელ ხოვლის ყოფილი მცხოვრების **ელიზბარ იგივე ედიშერ ივანეს ძე ედიშერაშვილისაგან.**

განცხადება

პატივი მაქვს გაუწყოთ რომ მე სახელმწიფო სამსახურის დავალებით ვიყავი 14 მარიამობისთვეში ამა წელს ტფილისში და ვინახულე შაქრო ედიშერაშვილი შემთხვევით, რომელსაც ვკითხე ამბავი სოფელ ხოვლისა და აგრეთვე ვკითხე შინაური ამბები და როდესაც მიამბო სუყველაფერი თავის წვალება თუ როგორ აწვალებს ჩემგან მიყიდულ ჩემ საკუთრებით შეძენილ ბაღზედ მაგდანილ ედიშერაშვილი, რომელსაც თურმე ვიქილობენ ვანო ბახტაძე თავის ცოლით და მესამე კიდევ ნიკო დალაქიშვილი, რომლებიც დაჟინებით თურმე იცავენ ლელეს იგივე მაგდანილ ედიშერაშვილს, ვითომდა მე ზემოხსენებულს ბაღში წილი არ მიმეცეს ლელესთვის და მის დაუკითხავათ გამეყიდოს შაქრო ედიშერაშვილზედ. აი ეს ყველა ცილისწამებანი რომ არის სიმართლეს მოკლებული და ეს ვექილები ხალხს ხვევენ ბურუსში და არღვევენ თავიანთ შეუგნებლობით და თავხედობით საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებ-კანონებსა. ეს არ უნდა ხდებოდეს დღეს და ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამისთანა გამოსვლებს. კარგათ იციან მაგათ, რომ ეს საქმე იყო გორის სახალხო სასამართლოში და მგონი რომ სახ. სასამართლოში მაგაზედ ნაკლები ჭკუის მქონე ამხანაგები არ არჩევდენ მაგათგან აღძრულ საჩივარს ჩემს წინაშე, რომლებმაც გაამტყუნეს და მომისაჯეს, როგორც ჩემი ნამდვილი საკუთრება და მეც ჩემი საკუთრება მივყიდე შაქრო ედიშერაშვილსა, რომელზედაც არავის უფლება არ აქვს, რომ ამაზედ იდავოს, და თუ ლელე ედიშერაშვილი ეცოდებათ მის ვექილებს, შეუძლიანთ მას მისცენ თავიანთ საკუთრება და შეინახონ როგორც უძლური და შრომის უნარს მოკლებული და დავრდომილი ადამიანი და თუ მაგათ მის შენახვა არ შეუძლიანთ და ლელე ედიშერაშვილსაც შრომა არ შეუძლია იმ შემთხვევაში მის ვექილებს შეუძლიანთ მიაღებინონ - შესანახათ დავრდომილთა სასახლეში, სადაც მას შეინახავენ და მოუვლიან. რომ ყველა ამ ზემოხსენებულ ნაძირალა ვექილებს და მომჩივნებს ბოლო მოელოს—მათ უსაფუძვლო მოქმედებას, რომ არ შეაწუხონ შემდეგისთვის არც სასამართლოები და არც თვით სოფლის ალმასკომი, ამისათვის **მე ოფიციალურათ მოგმართავ თქვენ სოფელ ხოვლის ალმასკომის თავმჯდომარეს,** რომ გამოუცხადოთ ამ ზემოხსენებულ მოწინააღმდეგეებს, რომ მე მათ ყველას ვიწვევ სოფელ ხოვლის სახალხოთ გასამართლებლად და გორის და ახალქალაქის წარმომადგენელების თანადასწრებით. დეე მთელმა სოფელ ხოვლემ დაგვდოს მსჯავრი ერთხელ და სამუდამოთ გამტყუნებულებს.

ამ საქმის გარჩევის დღის დანიშვნას გთხოვთ, რომ მოახდინოთ სექტემბერში, რადგანაც მე მანამდისინ არ მეცლება სამსახურის გამოისობით და ამაზე მე გაცნობებთ თუ როდის მომცემენ შვებულებას და იმ დღისთვის დაგვინიშნეთ გარჩევის დღე.

მთხოვნელი **ედიშერ ივანეს ძე ედიშერაშვილი.**

——

რკინისგზელებო განიკითხეთ!

ყოველ დღე შეხვდებით „დორპროფსოუის" „აღსარების" კარებთან ჩამწკრივებულ ქუდმოხდილ ხალხს. ერთი თვალის გადავლება საკმარისია გაიგოს ადამიანმა, რომ ეგ გამხთარი, გაფითრებული, ჩაფლეთილი ხალხი მასწავლებელნი იქნებიან. სდგანან კარებთან და სასოწარკვეთილებით მოელიან უკმეხ ბედის განაჩენს. ვამბობ აღსარების თქო, რადგან შიგ შესვლა მორწმუნეთათვისაც აკრძალულია და კარის კაცის საშუალებით ეუბნებიან: ფული არ არის, ჯამაგირებს ვერ მიიღებთ. მოკლეთ და კონკრეტიულად: უბედური ხალხი—არა მარტო მდგომარეობით, არამედ საშინელი დამცირებით, დაცინვით გულდაწყვეტილი ფსიტყვოთ ექანებიან გრძელ კიბეზე. თუმცა ძვირათ, მაგრამ მაინც

დატრიალებული ბოლმა აღმოიხეთქება სულიერი სიღრმიდან და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გაიგონებთ საყვედურებს: მაასხრათ გვიგდებენ, პატრონი არა გვყავს, ყველაფერი უორგანიზაციობის ბრალია და სხვა და სხვა. როგორ არა ჰყავთ: ადგილკომი, პროფესიონალური კავშირები რაიონისა ამიერ-კავკასიის, ვიცი არსებობს შრომის დაცვის კომისარიატი, მაგრამ არ ვიცი რა ხვედრი მიუძღვის მათ ამ ხალხის უნუგეშო მდგომარეობის დაცვაში. ეგი მათი სინინისს საქმეა, მე არას ვიტყვი, მხოლოდ ერთი კია ივლისის თვის ჯამაგირები დღესაც აუღებელია განსაზღვრული 20 ივლისის ტარიფიკაციით. გადის დღეები და მათთან კოლექტიური ხელშეკრულების დასადებათ ჯერ კიდევ არავის უფიქრია რომ ღირებულებათა მიხედვით აეღოთ უკანასკნელი გროშები, კიდევ მეტი: არ იციან ვინ აძლევთ მათ. ათვალიერებს ადამიანი ყოველივე ამას და თავისთავად ისმება კითხვა; იცის ყოველივე ეს უმაღლესმა მთავრობამ. თუ რომელიმე დაბალი ინსტანციის დაუდევრობას აქვს ადგილი, ან თუ იცის, რა ზომებს ღებულობს?

რკინისგზელებო! თქვენ ამ ხალხს ჩააბარეთ თქვენი პირმშო შვილები, მომავალი თაობა, თქვენი ცხოვრების გაგრძელება. მათ პირნათლათ შეასრულენ თავიანთი მძიმე მოვალეობა და ერთხელ მაინც განიკითხეთ უდანაშაულოთ დასჯილი უბედური ადამიანები.

„ვინმე".

—:—

სახელმწიფო ენის და უკანონო სამსახურის შესახებ

არის ისეთი ოჯახი საიდგანაც ორი-სამი კაცი მსახურობს; არის ისეთიც (უმეტესი) საიდგანაც ერთია მრჩენელი ოჯახის, ისიც უადგილოდ არის; ყოველ დღე ლუკმა პური აქვს საძებარი წვრილ-ოლოშვილისათვის, ყოველ დღე შრომის ბირჟას შესცქერის კარებში დაქანცული მეტის სიმშილით და ტანჯვით. მხოლოთ ამაოთ: ის სულ იმედგული დადის მთელი დღეები. ამაზე იყო, მახსოვს, გაზეთებში ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ნაყოფი არაფერი არ მოყვა ამ ლაპარაკს. მეორე, უნდა მოგახსენოთ,—რომ არა ვსთქვა მე მუშამ, ეს არ შეიძლება,—არის უმეტესი დაწესებულებანი, სადაც უმეტესი ნაწილში თითქმის, მსახურობენ ძალიან ახლობელი ნათესავები პასუხისმგებელ ადგილებზე ერთად, მე მხოლოდ მოვიყვან ერთ მაგალითს, რომლის მოწამე მე თვითონ ვარ. შრომის ბირჟასთან არსებულ დამზღვევ კასაში მსახურობენ ვინმე ორი ძმა ბუხპინდერები მოლარის და კონტროლიორის თანამდებობაზე. არც ერთმა ამათგანმა სახელმწიფო ენა არ იცის. ასეთები ბევრი არიან ამავე დაწესებულებაში, სადაც რომ ჰკითხოთ ნაციონალიზაცია უკვე გატარდა.

დამზღვევ კასაში ნაღდათ არის 7 8 კაცი ნაციონალიზაციაში გასატარებელი, ასე სხვა მრავალ დაწესებულებაში.

აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარებას, და ვისგანაც ჯერ-არის დაინიშნოს კომისია დიდი სანდოსაიმედო პირებისგან შემდგარი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დავალებული დაწესებულებათა ნაციონალიზაციის გატარება. მე როგორც მუშა კაცი და გლეხის შვილი ცოტას ვსწერ ამ საქმეზე, მაგრამ მიმხმდომი მიხვდება მაინც, როცა წაიკითხავს ამ ჩემს მუშურს წერილს და დამერწმუნება, რომ ეს არის მუშის გულიდან ამოღებული აუცილებლად; მეტი ყურადღებით და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ ეროვნულ საკითხს.

ი. კაციტაძე.

—:—

მცირე განმარტება.

„რაბოჩაია პრავდა"-ს № 148-ში მოთავსებულია ვინმე „სტუდენტი"-ს წერილი, რომელიც უკმაყოფილო ყოფილა სტუდენტთა სასადილოს მდგომარეობით.

„ზაევდიავუშჩი რედკო ბივაეტ ტამ"-ო სწერს იგი. ამას გარდა სასურველად მიაჩნია ექსპედიტორის და გამგის თანამდებობის შეერთება. ამხ. „სტუდენტს", რომელსაც ჰქონია საშვალება „რაბოჩაია პრავდა"-ში წერილი მოეთავსებია შეეძლო სასადილოს მდგომარეობაც გაეცნო, შესულიყო სტ. საბჭოში, ან სასადილოს ადგილკომში და საქმეს კარგად გაცნობოდა. წერილის დაწერა და მით უმეტეს ისეთი თალხი წერილის, ყველა წერა კითხვის მცოდნეს შეუძლია. საქმეა სიმართლე იყოს წერილში და რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოს მას.

იმ წერილმა, რომ ვინმე შეცდომაში არ შეიყვანოს საჭიროა აღვნიშნოთ:

ს. სასადილო ღია დილის 8 საათ. ნაშუადღევის 4 საათამდე, გამგეს არ შეუძლია მთელი ამ ხნის განმავლობაში იყოს სასადილოში.

სასადილოს დამოკიდებულება აქვს სხვა და

სხვა დაწესებულებებთან, როგორ არის განათლ. კომისარიატი, ქალაქ. აღმასკ. სასურსათო კომისარიატი და სხვა. ამ დაწესებულებებში სიარული სხვა და სხვა საქმის მოსაგვარებლად ევალება გამგეს. ამას გარდა სასადილოს გამგეს ხშირად აკისრებს სტუდ. საბჭო სხვა და სხვა საკითხების მოწესრიგებას, რომლებიც დაკავშირებულია სასადილოს საკითხთან (იხ. სტ. საბჭოს ოქმები). არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასადილოში გამგის მოადგილე არ ყოფილიყოს, გამგის იქ არ ყოფნის დროს.

რაც შეეხება თანამდებობათა გაერთიანებას უნდა აღვნიშნოთ, რომ შტატის უკანასკნელი შემადგენლობა საბჭომ დაამტკიცა და მისი შემოკლება შეუძლებლად სცნო თუ ამხ. „სტუდენტი" კარგად გაეცნობა მდგომარეობას, თუ ის საგასტროლოთ არა არის ჩამოსული ზაფხულზე, როცა სასადილოში სტუდენტთა რიცხვი მცირეა, და სწავლის დროსაც აქ იქნება დარწმუნდება, რომ სხვანაირად მოქცევა საბჭოს არ შეეძლო.

სტ. სასადილოს ადგილკომი.

—

ცოტა რამ გადასახადთა ინსპექციის თანამშრომლების შესახებ.

გადასახადთა ინსპექციის თანამშრომლები, რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა აწევთ და მთელ თავის ძალღონეს ანდომებენ გადასახადების წესიერათ მოწყობა-მოგვარებას, განიცდიან დიდ გასაჭირს.

ცხოვრება დღითი დღე ძვირდება და გადასახადთა ინსპექციის თანამშრომლები თავიანთ შრომის გასამრჯელოს იღებენ ძალიან უმნიშვნელოს და იმასაც დაგვიანებით, როდესაც სხვა დაწესებულების თანამშრომლები 100 და 200 პროც. მეტს ღებულობენ და თავის დროზე. ავიღოთ მაგალითად საგადასახადო განყოფილების საქმის მწარმოებელი 9 კატეგორიის აგვისტოს ჯამაგირი მიიღო 42 მილიონი და იგიც თვის დამლევს. რა უნდა უქნას ასე მცირე ჯამაგირმა და ისიც დაგვიანებით მიღებულმა, როდესაც მას ყავს სარჩენი 5 და 6 სული და ზოგიერთს კი 8 სულიც.

მიუხედავათ იმისა, რომ თანამშრომლები მიღებულ ჯამაგირიდან ვერ იძენენ აუცილებელ მოთხოვნილების საგნების მეხუთედ ნაწილს, რომ მათ არ დაკარგონ სურვილი ენერგიული მუშაობისა, ისინი მაინც ძველებურათ თავჩაქინდრული განაგრძობენ მუშაობას კეთილი საქმისას საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისათვის, ვინაიდგან მათ სწამთ, რომ სახელმწიფოს შემოსავლის წყაროს შეადგენს უმთავრესად გადასახადები.

თუ საგადასახადო განყოფილებას არ ყავს ერთგული და ენერგიით სავსე მუშაკნი, იმ შემთხვევაში გადასახადების საქმე წესიერათ ვერ წავა და სახელმწიფოსაც შემოსავალი დააკლდება.

საგადასახადო განყოფილებები შესდგება გამოცდილ და გაწვრთნილ მუშა-მოსამსახურეებისაგან; ამასთანავე ფაქტია, რომ ამ დარგში მომუშავენი თავისი პატიოსანი შრომით ღირსნი არიან, რომ მათი შრომა იყოს დაფასებული საკმარისად. ისინი არამც თუ ჩამორჩენილი უნდა იყვნენ ჯამაგირის მხრივ სხვა დარგის თანამშრომლებთან, რომლებთან შედარებით არა ნაკლები სარგებლობა მოაქვთ სახელმწიფოსთვის. ვფიქრობთ ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც სჭარბობენ ამ მხრივ ზოგიერთ დაწესებულებებს.

მე ვიმედოვნებ, როგორც ერთი წევრი გადასახადთა ინსპექციის თანამშრომლებისა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ თანამშრომლებს, რომ მომავალი გასამრჯელო მათ მიეცეთ იმდენი, რამდენიც დაიკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილების საგნების შეძენას, რომ დამშვიდებული და გაორკეცებული ენერგიით განაგრძონ მუშაობა საბჭოთა ხელის უფლების კეთილ დღეობისათვის. ამით რა თქმა უნდა სავსებით იქნება დაცული შრომის დაფასება ისე, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი პირობები და აგრეთვე რესპუბლიკის მდგომარეობა და შრომის კანონებიც.

პალია.

——

განათლების დარგში მუშაკთა მდგომარეობა.

ქ. ბათომის განათლების დარგში მომუშავეთა მდგომარეობა ამ ჟამად მეტად გამწვავდა რასაკვირველია აქ მე მხედველობაში მაქვს მატერიალური მდგომარეობა.

ვისაც ბათომში ერთი თვე მაინც უცხოვრია, ის დამეთანხმება, რომ საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით აქ ცხოვრება 20—30 პროც. უფრო ძვირია; და ის მინიმუმი ჯამაგირისა, რომლითაც კმაყოფილდება საერთოდ (საქართველოს მასშტაბით) მოსამსახურენი, ის ოდნავ მაინც არ აკმაყოფილებს ბათომის მოსამსახურეებს, მით უმეტეს ამ უკანასკნელ დროს, როცა ბათომში ცხოვრება საშინელ სისწრაფით ძვირდება. რომ მოსამსახურემ დღიური პირველ საჭიროების საგნების მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, მას არ ყოფნის სამი მილიონი—ამიერ კავკ. ბონებით. აგვისტოს განათ. მუშ. სტავკების 1 ჯგუფის მოსამსახურეს ეძლევა 18 მილიონი მანეთი თვეში, რაც შეადგენს ერთი კვირის ლუკმის ფასს.

არსებობს აქაც ამ დარგის მუშაკთა „კავშირი. წევრები იხდიან წესიერად საწევრო პროცენტიულ გადასახადს კავშირის მუშაობა და მოღვაწეობა არ გასცილებია ძველებურს „კანცელიარშჩინას". მან ვერ შესძლო სხვათა შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადება ვისთანაც ეს ჯერ იყო. ბათომში ხმა გავრცელდა (და მგონია ადგილობრივ გაზეთშიაც იყო ცნობა მოთავსებული), რომ კავშირმა ხელშეკრულებას მოაწერინა ... ... სახურენი ამიერიდან ... ... მიიღებენო; და მასთან ... ... რე მიიღებს 6 საქონ. მანეთსა, მაგრამ ესეც არ გამართლდა. როგორც ამბობენ, სახ. კომ. საბჭოს ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებასო. ამას რომ თავი დავანებოთ, არ არსებობს განათლების დარგში მომუშავეთათვის არც კლუბი, არც სამკითხველო, არც კოოპერატივი, არც სასადილო, რომლებიც სხვა დარგის მოსამსახურეებს დიდიხანია შეუქმნია.

ბოლოსა და ბოლოს საჭიროა ვიცოდეთ, სანამ გასტანს კავშირის გამგეობის ასეთი უილაჯობა და უმოქმედობა და სანამ დარჩება ამ დარგის მოსამსახურენი ასეთ აუტანელ მდგომარეობაში?

ფარსადან.

პარტიული

უმუშევართა საყურადღებოდ

6 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე დანიშნულია განმეორებითი სარეგისტრაციო კრება უმუშევართა. ყველა უმუშევარი ამხანაგი ვალდებულია გამოცხადდეს აღნიშნულ დღეს აღსარიცხავად; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამხანაგი, რომელიც არ გამოცხადდება აღრიცხვაზედ გამორიცხული იქნება ... ...ან.

უმუშევართა რეგისტრაცია ყოველ კვირაში ხდება ერთხელ ხუთშაბათს, 12 საათზე დღისით.

კომ. მდივანი: **შ. იაშვილი**

——

შაბათს, 8 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. მემ. სოც. ფედ. ქალთა განყ. ოთახში ლორის მელიქოვის 1) დანიშნულია პარტიულ ქალთა კრება. გასარჩევია ფრიად საინტერესო საკითხები.

წევრებს ევალებათ გამოცხადდენ აუცილებლად აღნიშნულ დროზე.

——

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია პოლიტიკურ წრეში მსურველთა ჩაწერა. ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

შალ. ჭილაძე.

ზემო თავ-სურეგის თემი (გურია)

მიუხედავად იმისა, რომ ეს თემი ძლიერ დაშორებულია ცენტრს და წარმოადგენს გურიის ალმოსავლეთის ნაწილის უკანასკნელ კუნჭულს, ის მაინც არ ჩაითვლება კულტურულათ ჩამორჩენილ თემათ. რეაქციის ბატონობის დროს ცნობილია, როგორც რევოლიუციონური თემი, და როგორც ასეთში, რეაქცია მასში არავითარ კულტურული დაწესებულების გახსნის უფლებას არ იძლეოდა. 1913 წ. ძლივს ეღირსა ხალხი ორ კლასიანს და ისიც სამრევლო სკოლის გახსნას, და რევოლიუციამდე მხოლოდ ეს ერთათ-ერთი კულტურული დაწესებულება იყო მთელ თემში. რევოლიუციის შემდეგ ხალხი ძლიერ ხარბათ და დიდის ხალისით დაეწაფა სხვა და სხვა უსაჭიროეს დაწესებულებათა გახსნას, მის გაძლიერებას და ყოველმხრივ გამაგრებას. გახსნილ იქმნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სახალხო აფთიაქი და საფერშლო პუნქტი.

გაცხოველდა მათში მუშაობა და ხალხმაც იგემა მათ მიერ მოტანილი სარგებლიანობა, განსაკუთრებული სიმპატია მოიპოვა ხალხში საფერშლო პუნქტმა და სახალხო აფთიაქმა. პუნქტზედ ყოველგვარი დახმარება სრულიად უფასო იყო, მხოლოდ ბინაზე დახმარებისათვის იყო ცოტაოდენი ჯილდო. ეს პუნქტი ბოლოს ერობამ მიიღო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი საბჭოთა საფერშლო პუნქტით იქცა. სამწუხაროთ, ის ვერ დგას იმ სიმაღლეზედ, როგორიც წინეთ იყო. ფერშალი ძლიერ მცირედ ჯამაგირს იღებს, იძულებულია სხვა და სხვა საექიმო მუშაობას მოკიდოს ხელი პუნქტზედ ფასის აღებით. (მაგალ. ნემსების კეთება, ყურისა და თვალის ექიმობა და მცირედი ქირურგიული დახმარებანი). აგრედვე ევაჭროს ავადმყოფის პატრონს სახლში მიწვევის დროს. ეს კი ერთგვარ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ხალხში და საჭიროა ამას ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება მიაქციოს; მოსამსახურეს მიეცეს ღირსეული ჯამაგირი და აგრეთვე საჭირო ინვენტარი, პუნქტზედ ყოველგვარი მუშაობა უფასო უნდა იქნეს და სახლში მიწვევისათვის კი არსებობდეს სათანადო გამომუშავებული ნიხრი. რაც შეეხება სახალხო აფთიაქს—მანაც ბევრი ეტაპები განვლო; ხან ხალხის იყო, ხან საბჭოთა—ეხლა კიდევ ხალხის ხელშია ჯანმთ. განყ. კანტროლის ქვეშ. თუმცა შედარებით შეუფერებელ შენობაშია და აგრედვე შინაური მოწყობილობა არ აქვს მეტათ მოკაზმული და მიმზიდავი, სამაგიეროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიკამენტებით საკმარისათ მდიდარია. მედიკამენტებს ის იძენს რესპუბლიკის ცენტრ. ფარმაც. საწყობიდგან, ამიტომ მედიკა—ბი კარგი ღირსებისაა და ხალხშიც ამ აფთიაქიდან გაშვებულ წამალს კარგი ავტორიტეტი აქვს. ფარმაცევტი ჯამაგირს გამგეობასთან შეთანხმებით იღებს, აგრეთვე ხალხისაგან ეძლევა გათბობა-განათება და ოთახი. ეს ორი დაწესებულება, პუნქტი და აფთიაქი ყველაზე უფრო სიმპატიური და საყვარელი—დაწესებულებაა—აგრეთვე უსაჭიროესიც, საჭიროა და ზნეობრივი მოვალეობაცაა ამ თემის ბცხოვრებმა—სხვა და სხვა ქალაქის დაწესებულებაში მომუშავეებმა და გავლენიანმა პირებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მათ, აფთიაქს თუმცა თავისი საკუთარი შემოსავალი აკმაყოფილებს—მაგრამ დახმარებაც ძლიერ საჭიროა.

საჭიროა აგრედვე ახალი გამგეობის არჩევის დროს რამდენიმე წევრი აუცილებლად ძველი გამგეობიდგან მოხდეს—როგორც საქმესთან უფრო დაახლოვებულნი. აფთიაქს შეუძლია და სასურველიცაა უკიდურეს ღარიბ ხალხს ძისცეს წამლები ფასის დაკლებით ან და რამდენიმე პროც. დაკლებით, როგორც ეს აქამდის იყო; რაც შეეხება ნისიათ წამლის გაცემას ეს ყოვლათ დაუშვებელი და უხერხულია გარდა უკიდურესი უცაბედი შემთხვევისა. ნისია ყოველ მხრივათ ხელის შემშლელია და ფარმაცევტისა და აფთიაქის ავტორიტეტის დამაქვეითებელი, მთავარი საქმე ისაა,—რომ აფთიაქში მუშაობა კეთილ-სინიდისიერათ მიმდინარეობდეს, ფული თავის დროზედ გროვდებოდეს და საჭიროებისამებრ იხარჯებოდეს, აუცილებელია აგრედვე აფთიაქში წესიერი ამოკრეფა გასული მედიკამენტებისა.

ვუსურვებ წინსვლას თემის კულტურულ ცხოვრებას.

ერეკლე კიკვაძე.

სოფელში

სოფელი—ცისფერი უდაბნო.
სიჩუმე. დღეების ნარნარი.
მე მათრობს ცისფერი საღამო
და ლურჯი ტყეების ამბორი.
ნისლის მთა დააწვა ხეივანს
და ცაზე აცურდა ღრუბელი.
მე სულ სხვა მხარეში წამიყვანს
ცისფერი უდაბნო—სოფელი.
მიფრინავს ყორნების კრებული.
მივდივარ დაღლილი... დამფრთხალი.
იფრქვევა ცრემლები ფარულად.
ქარს მიაქვს ქვითინი ქვრივ ქალის.
იშლება მოგონება:
ბავშობა. შიშველი ფეხებით,
მდელოზე სირბილი, თამაში,
როდესაც მიყვარდა იები
და ცაზე ვარსკვლავთა კაშკაში!
გაფრინდა ის ტკბილი დღეები.
მოვარდა მწუხარე ამინდი.
ო, ლურჯი სიზმრების ტალღებში
ირხევა ყანები სიმინდი.
დღეს ჩემთვის ქვეყანა სხვა არი.
მას ველი და ვიცი არ მოვა!
დაიძრა დღეების ლაშქარი;
მშობლებმა მე ობლად დამტოვა!
დავკარგე მე სულის მზეობა.
მაწამებს ეს ძველი ჭიშკარი.
მომწყინდა მუდმივი ობლობა
და აღარ თავდება სიზმარი.
სოფელი. ცისფერი უდაბნო.
სიჩუმე დღეების მაყრული.
მოვიდა ცისფერი საღამო
და მათრობს ალერსი ფარული.

დ. კობიძე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲖᲔ.

შესავალი.

ისტორიის მრისხანე ბორბლებს გადაჰყვა რეაქცია. ძველი ქვეყანა ვერ გაუძალდა ათასგვრად მოზღვავებულ იერიშებს და იძულებული შეიქნა წასულიყო წინაპართა სამწირველოზე.

სამსხვერპლოდან ოდნავღა მოისმის განწირულთა გმინვა, მაგრამ მათი ხმა არასოდეს არ გაძლიერდება, რადგან ისინი ისტორიამ გასწირა და მათი ძახილი მალე მიყრუვდება და დავიწყდება ადამიანთა ხსოვნიდან...

ძველი შეიცვალა ახალით; ბატონები, შოვინისტები და ანტისემიტები გაემგზავრენ უვადო შვებულებაში ახალ ამერიკისკენ.

მრავალწამებულმა ებრაელის ერმაც თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. აღარავინ სცემს თავში, ვებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე აღარ ისმის გულ შემაზარი „Бей жидов, спасай Россию", დაშშვიდებულია ნერვები, არ მოელიან დარბევას, ჰგრძნობენ რომ თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი ბრიან და პურიშკევიჩები ვეღარ შესძლებენ მათ გათელვას, ვეღარავინ შესძლებს შეთხზას დრეიფუსის და ბეილისის ლეგენდები..

ამოძრავდა ქვეყანა, ყველა ჰგრძნობს, რომ უნდა გამოერკვეს, უნდა იცნოს თავის თავი, მას რაღაც სჭირია, რაღაც აკლია, მას აქვს თავისუფლება და სურს მით ისარგებლოს.

მანქანების საუკუნეა ჩვენი ეპოქა; ეღვის სისწრაფით ჰბრუნავენ მანქანები, ანადგურებენ ძველი მსოფლიოს ტრადიციებს და ამაყად მიაქანებენ დროშას, რომელსაც აწერია: „პროგრესი"...

მაგრამ საქართველოს ებრაელებს ისევ მაგრად სძინავთ და ორი ათასი წლის განმავლობაში უკულტურობის ბალიშზე მიყრდნობილი თავი დღესაც ეზარებათ ასწიონ და არ სურთ გაიგონ,—რა ხდება მათ გარშემო, რა სჭირია მათ და როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ დაუსრულებელ ძილს, რომელიც გრძელდება აგერ—მეოცე საუკუნე.

რუსეთის ებრაელობამ ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის ხანებში მისცა კაცობრიობას ნიჭიერი შვილები სხვა და სხვა დარგში.

საქართველოს ებრაელთა ბანაკში კი მწარე სურათია: წარსული ხომ დაჩრდილულია და მომავალი უკეთესი არა სჩანს.

რაშია საქმე? ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ საქართველოს ებრაელებს არ გადაუდგამთ უბრალო ნაბიჯი თავიანთი კულტურული წინ წაწევისათვის? ნუ თუ მათში მართლა არ არის სურვილი გამოღვიძებისა? მაშ რატომ არ ფრიალებს მათ ქუჩებზე დროშა კულტურისა და პროგრესისა? ნუ თუ არ დამდგარა კიდევ ის ნეტარი დრო, რომ საუკუნოების განმავლობაში ჩაგრულ საქ. ებრაელს შეეძლოს დამტვრევა წარსულის მონობის ბორკილებისა?

1

არ არსებობს საქართველოს ებრაელთათვის ისტორია. ისტორია მათ შესახებ სდუმს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ უმნიშვნელო ცნობებს, რომლებიც მოაგროვა ზ. ჭიჭინაძემ და ცალკე წიგნადაც დაბეჭდა 1904 წ. („ქართველთ ებრაელნი საქართველოში") არავის არ შეუწუხებია თავი და არ უფიქრია ამ ხალხის წარსულის შესახებ საქართველოში.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ხელთ არის შეგვიძლია სამართლიანად დავასკვნათ, რომ **ოცმა საუკუნემ განვლო საქართველოს ებრაელთათვის როგორც ოცმა წუთმა.** გაჭრა ასეთი დიდი მანძილი და მათ გონებას არაფერი შეჰმატებია. რაც იყვნენ ოცი საუკუნის წინედ—ისეთივე არიან დღესაც. არამც თუ პროგრესის ნაბიჯები სჩანს მათში, პირიქით ისინი თანდათან უფრო რეგრესისკენ მიდიან, ვინაიდან როგორც გამოკვლევაა ოცი საუკუნის წინედ მათ თავიანთი ენა მაინც იცოდენ და დღეს ეს ენაც დაჰკარგეს.

ერთი რამ ცხადია: ებრაელის ერი, როგორც ყველგან, ისე საქართველოშიდაც ტანჯული იყო. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ებრაელები განიცდიდენ საქართველოში დევნას არა ქართველების მიერ—არამედ იმ გარემოებათა მეოხებით, რომელთა გამო თვითონ ქართველები იჩაგრებოდნენ.

ეს მიზეზები იყვნენ: მრავალ სხვა და სხვა მოდგმათა ურდოების შემოსევა, ეკონომიური სისუსტე და ფეოდალური წესწყობილების სიძლიერე.

კერძოდ ქართველ ფეოდალებს აუარებელი მონები ჰყავდათ ებრაელები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჰკარგავდენ ძველ სახეობას და ითქვიფებოდენ ასსიმილიაციის გაძლიერებულ ცეცხლში.

მიუხედავად იმისა, რომ ამას არ ჰქონია ძალდატანებითი ხასიათი, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ფეოდალური ძლევამოსილების განვითარებამ საქართველოში იმსხვერპლა რამოდენიმე ათასი ებრაელი. აი მიზეზი, რომ საქართველოში ებრაელთა რიცხვი არ გაიზარდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობების მიხედვით ოცი საუკუნის წინად გადმოსახლებულა საქართველოში 15.000 ებრაელი. ოცი საუკუნის განმავლობაში ეს რიცხვი უნდა ქცეულიყო მილიონებად, მაგრამ სამწუხაროდ დღეს საქართველოში მხოლოდ ორჯერ მეტი ცხოვრობს იმაზე, რაც იყვენ ამ ორი ათასი წლის წინედ.

მათ არ ჰქონდათ სასწავლებლები და არ ჰყოლიათ მეთაურები, რომ შესდგომოდენ სწავლა-განათლებას. მათ არ ჰქონდათ საშუალება, რომ განვითარებულიყო მათში ხელოსნობა, არ ჰქონდათ მიწები რომ ჩასდგომოდენ მეურნეობას და ვინაიდან ამ ხალხს ხშირად უხდებოდათ მოგზაურობა ერთი ქვეყნიდან მეორეში—ამიტომ განვითარდა მათში „ჩარჩობა", რომელმაც მოაწია დღემდე.

მათი წინამძღოლები იყვნენ სასულიერო პირები, რომლებსაც ეკავათ ხალხის ბედი ხელში და მოუწოდებდენ მათ სარწმუნოების მტკიცედ შენახვა აღსრულებაში.

სარწმუნოებრივი ტრადიციების მტკიცედ დაცვა—ეს იყო მათი სულიერი საზრდო.

ჩარჩობა ვაჭრობის კარგად მოწყობა—ეს იყო მათი იდეალი.

და გარბოდენ საუკუნეები დაუსვენებლივ.

ჩარჩობა ⁄ ფანატიზმი—აი რით არსებობდა საქართველოს ებრაელი და მას სხვა საზრუნავი არ ჰქონდა. არავინ იყო პატრონი, არავინ იყო ახალი გზის მაჩვენებელი.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა და ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა.

ბაბილონის კოშკივით აღიმართა „დუმილის კოშკი" და მის გარღვევას არავინ ჰფიქრობდა.

გადავიდა საქართველო რომანოვების ხელში და რუსოფიკატორული პოლიტიკის წყალობით ქართული კულტურა კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ.

საქართველოს ებრაელები კი—რაღა გასაკვირელია თუ ძალა უნებურად ისევ დუმილით იყვნენ შეპყრობილნი და განაგრძობდენ რეგრესიულ გზით სიარულს, მაგრამ ამ დროს კაცობრიობის აზროვნებაში მოხდა დიდი ცვლილება, რომლის დასაბამ წყაროდ ითვლება არ ნახული და უმაგალითო მსოფლიო ომი, რომელიც დაიწყო 1914 წელს და რომელმაც აამოძრავა მიდუნებული ძარღვები წვრილი ერებისა, რომელთა რიცხვს, ნაწილობრივად, ეკუთვნოდა საქართველოს ებრაელობაც.

გერცელ ბააზოვი.

(შემდეგი იქნება)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის **ბათომის საოლქო კომიტეტი** ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 15 ივლისამდე გაცემული **ყველა** მანდატები **ითვლება გაუქმებულათ.**

ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაღებათ კომიტეტის ბინაზე, მიხეილის ქუჩა № 40, საღამოს 5—6 ს-დე **ამა წლის 10 სექტემბრამდე.** ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება ორგანიზაციის წევრობიდან.

5—3

კომიტეტის მდივანი: **ერ. სუპატაშვილი.**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲟ. ᲕᲐᲮ. ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲝᲕᲘ

ტფილისს ეწვია მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი ვახ. მჭედელიშვილი.

უკვე ტფილისს არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიის ბედს სჭედს თვით მისი შემადგენელი ხალასი, მოწოდებულ, არტისტიულ ნერვის პატრონი სტუდიელნი, ასეთებით სჭარბობს ქალები.

რეჟისორ მჭედელიშვილის განზრახვა იყო სწორედ ასეთების წაყვანა მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიაში.

გამართლებულ არტისტიულ ნერვს გამართლებულ თეატრში უნდა ჰქონდეს ადგილი.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი კი ჩვენ გაგებით ტრაღიკომიკურად ადებს ხელს.

ჰო და—ნურას უკაცრავად, პატივცემულო რეჟისორო, თუ იმედი არ გაგიმართლდათ.

(თქვენი შეურაცხყოფა ფიქრადაც არ მოგვდის).

ღრმად მრწამს, რომ მოსკოვი ვერ მოგვცემს „ქართველ არტისტს".

რატომ? ტფილისის ქუჩებიც კი დიდ როლს თამაშობენ ეროვნულ თეატრის არტისტისათვის,—მით უფრო მომავალ თეატრში. აქვე ვაცხადებ თამამად, რომ **მე ჯერ კიდევ არ** მსმენია ქართულ თეატრის რამპიდან ქართველი არტისტის **ქართული სწორი რიტმის გამოთქმას.**

ქართულ მომავალ თეატრს „ატსტავკაში" მიცემული სამხატვრო თეატრი ახალს ვერაფერს მისცემს.

რუსულ თეატრალურ კულტურას ჩვენ არ უარვყოფთ, მაგრამ სამხატვრო თეატრზე დიდი ხანია იგალობეს სულთათანა.

მეიერხოლდის და ტაიროვის დინამიკით და ახალი რიტმით დაძრულმა თეატრმა „კუზი" გაუჩინა სამხატვრო თეატრის მამათმთავარს რეჟ. სტანისლავსკის და კამპანიას.

ასე, რომ გოჯილას თამაში და წყლის ნაყვა იქნებოდა რეჟ. მჭედლიშვილის განზრახული საქმიანობა.

ვისაც ქართულ თეატრისათვის გული შესტკივა—ტფილისს მობრძანდეს და დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

საქართველოში ეხლა არაფერი არ არის შეუძლებელი.

ქართველი ყოველ მხრივ თეატრალია, არტისტიულ ნერვის გამართლების შანსებს ყველაზე უფრო საქართველო იძლევა.

საჭიროა მხოლოდ ცოტა ხნით მაინც ქართველურ სიზარმაცეს შვებულება მივსცეთ!

მოსკოვი ასეთი გულუხვი არასოდეს არ ყოფილა თეატრალურ ლიტერატურის მოწოდებით. შეგვიძლია ვისარგებლოთ.

საჭიროა მეტი გარჯა, მეტი საქმიანობა.

ქართველები უთუოდ „დიდი ბავშვები" ვართ.

ამით აიხსნება ზოგიერთ სტუდიელის საქციელი მოსკოვში გაწევის ტემპერამენტით.

ჩემმა მეგობრებმა გულიდან უნდა ამოირეცხონ მოსკოვის სამხატვრო თეატრისკენ ლტოლვა.

ქართული დრამატიული სტუდია აუცილებლივ ტფილისში უნდა არსებობთეს.

მთავრობის, მარჯანიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, საშა ახმეტელის, სვიმონიშვილის და საერთოდ—**თეატრალურ საზოგადოების მთავარი ყურადღება**—ოპერისა და რუსთველის თეატრიდან უნდა მიიმართოს ტფილისის სახელმწიფო დრამატიულ სტუდიის მომავალისაკენ. ამის შანსები არის.

არსებული ქართული თეატრი და მისი არტისტიული შემადგენლობა, მცირეს გამოკლებით, მიმავალია...

სტუდიამ კი უნდა შექმნას ახალი ქართული თეატრი: თეატრი კულტურის, თეატრი საღი, თეატრი ვაჟური, რომელიც დაიფრენს ფილის ტერებს როგორც რუხი ფერი—ტილოზე სხვა ფერებს.

ახალმა თეატრმა უნდა მოგვცეს არტისტი—დინამიკის—ქართული სულით...

არსებული სტუდია უნდა გაიწმინდოს...

„ნედარაზუმენი"-ები ისედაც კმარა ჩვენს თეატრებში.

16 ენკენისთვის ახლების მიღების გამოცდებზე ესთეტიური „სიძუნწე" უნდა ბატონობდეს.

გაცვეთილ პროფესიონალურ აქტიორის სულის მატარებელთ სტუდიაში ადგილი არ უნდა ექნეს.

საქართველოს პროვინციებში და ქალაქებში უმთავრესად მრავალი არტისტიული ნერვია დარჩენილი, რომელთაც აკლიათ ტფილისის ნებისყოფა—საჭიროა მათი ცოტათ თუ ბევრად უზრუნველყოფა და ისინიც ჩვენთან იქნებიან.

ეს განათლების კომისარიატის საქმეა.

ვისაც ჩვენი მომავლის თეატრზე გული შესტკივა და ჩამოსვლა საქმიანობას შეეხება (რაშიაც ეჭვი არ შემდის), მე მგონი მისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო განათლების კომისრის და სახელოვნო კომიტეტის გულწრფელი მიმართვა და პირობები აქ დარჩენისა და მუშაობის შესახებ.

ყოველ შემთხვევაში იმ კომპრომისს, რომელზედაც რეჟ. მჭედლიშვილი წავიდა ალბათ უნდა სჯობდეს მისი აქ დარჩენა და შეერთებული ძალით ენერგიული მუშაობა.

ტფილისს ყველაზე მეტი გამძლეობა აქვს.

დასასრულ ვამბობ ჩემი მეგობრების მიმართ, რომ უეჭველად დიდი საქმე და დიდი ნაბიჯი იდგმება განათ. კომისარიატის მიერ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად—და რასაკვირველია დიდი **გამართლებას** თხოულობს ჩვენგან.

საჭიროა მეტი ენერგია, მეტი გარჯა და დაკვირვებული მიზანშეწონილი მუშაობა, რომ იმედებს—ჩვენზე მოპყრობილს თავზე არ გადავახტეთ. თუ ზემოალნიშნული იმედები გავამართლეთ და ჩვენმა მომავალმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, რაშიაც უსათუოდ დარწმუნებული ვარ—საქ. განათლების კომისარიატი არ დაიშურებს ჩვენს გაგზავნას საექსკურსიოთ თეატრების დათვალიერების მიზნით მოსკოვში და შეიძლება ზოგიერთნი უფრო შორსაც.

რეჟ. მჭედლიშვილი—კი თავის სიყვარულს ქართულ თეატრისადმი დაამტკიცებს მოსკოვიდან ტფილისში გადმოსვლით.

სტუდიელი **შოთა მანაგაძე.**

ტფილისი. 30 აგვისტო.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲗᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

კანონები მიწის დამუშავებისა და პურის თესვისა, რომ მუდამ კარგი მოსავალი მივიღოთ.

1. რამდენათაც ადრე მოხნავ მიწას, იმდენად მეტს მოსავალსაც მიიღებ მისგან. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ თუ ყანის მომკის შემდეგ მიწას მაშინვე მოხნავ კარგად ორ ვერშოკზე სილრმით, ის 150—200 ფუთს მოგცემს ჩვეულებრივ ამინდებში და თვით გვალვაშიაც, ხოლო, თუ გვიან მოხნავ, ამის მეოთხედს და მეხუთედსაც ვერ მიიღებ.

2. მომკო პური ანუ ქერი თუ არა, მაშინვე მოხან და ორჯელ დაფარცხე (ჯვარედინად), რომ ნახნავი ხელის გულსავით სწორი იყოს, თითონ მიწაც თხილის ოდენად დაწვრილებული თესლიც თანაბრად დათესილი.

3. თუ გაზაფხულის პურისთვის გინდა მოამზადო მიწა, მოხან კარტოფილისა თუ სიმინდის მოკრეფის უმალ ორ ვერშოკზე და დასტოვე ასე გაზაფხულამდე, რომ ნახნავი წვიმისა და თოვლის წყლით კარგად გაიჟღინთოს და დაიშალოს. ადრე გაზაფხულზე კი, როცა შეატყოთ, რომ მინდვრად თუ ბაღებში ბალახი იღვიძებს და ამოდის, თქვენც ნულარ დაიგვიანებთ, დაფარცხეთ ზევიდამ ქვემოთ თუ ქვეიდამ ზემოთ, დათესეთ ხორბალი და ახლა გარდიგარდმო დაფარცხეთ, რომ ნახნავი ხელის გულსავით გასწორდეს და თესლიც კადგად ჩაიშალოს მიწაში. მიიღებთ ჩვეულებრივზე კარგს მოსავალს.

4. ნურასოდეს ნუ დასთესავ ერთსა და იმავე მცენარეს ერთსა და იმავე ადგილზე ზედიზედ მიყოლებით, არამედ დათესე სხვა მცენარე, რომელიც შენთვის იმ დროს უფრო საჭირო იყოს. ხოლო, თითონ გაზაფხულის პური კი უმჯობესია იქ დათესოთ, სადაც კარტოფილი ან სიმინდი გეთესათ, რადგანაც ამ მცენარეების შემდეგ გაზაფხულის პური მუდამ კარგს მოსავალს იძლევა.

5. თესე მხოლოდ ხორბლის სარჩევ მანქანაში გატარებული და პირველ ხარისხად მიღებული ხორბალი, მიიღებთ საუკეთესო მოსავალს, რადგანაც კარგი და მძიმე ხორბალი ასი ფუთით მეტს მოსავალს იძლევა თვითეულ დესეტინაზე, ვიდრე ცუდი და სუბუქი სათესლე ხორბალი.

6. ბევრს ჰგონია, რომ რამდენადაც მეტს ხორბალს დასთესავს, იმდენათვე მეტს მოსავალს მიიღებს, მაგრამ ეს მართალი არ არის. შესახედავად, მართალია, სქლად დათესილი ყანა სჯობია თხლად დათესილსა, მაგრამ საქმე რომ კარგად გამოვიძიოთ, გამოჩნდება, რომ სქლად დათესილი ყანის თავთავები მოკლე და მცირე ძარცვლიანია, თხლად დათესილისა კი მსხვილი და უხვ-მარცვლიანი. ცხადია, რომ პურის თესვაში მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს გარემოება და ზომიერი რაოდენობა დავთესოთ ხოლმე.

7. თუ სათესლე პურის სყიდვა დაგჭირდეთ, იყიდეთ მიწად-მოქმედების კომისარიატის სათესლე საწყობში, იქ მცოდნე მოხელეები განაგებენ საქმეს და არ მოგატყუებენ.

8. ეცადე და თითონაც გაისარჯე შექმნა საუკეთესო ჯიშები პურისა, ეს ძნელი არ არის; რო-

ცა პურს მკიან და ძნებს ყირაზე აყენებენ იქვე გასაშრობად, დაუარეთ თვითეულს ძნას მაკრატლით (ვაზის სასხლავად რომ ხმარობენ) ხელში, ააჭერით საუკეთესო თავთავები და ცალკე შეინახეთ, ლეწვითაც ცალკე გალეწეთ, კარგად დაარკვიეთ და ცალკე შეინახეთ სათესლედ. ასე მოიქეცით ყოველ წელს და ნახავთ, რომ თქვენი პური პირველი შეიქმნება მთელს თქვენს მხარესა.

9. ეცადეთ არამც და არამც არ დააგვიანოთ გაზაფხულის პურის თესვაში. მოშრეს და მოთბეს მიწა თუ არა და ნახოთ, რომ სხვა ბალახების თესლი ღვივდება და ამოდის. დააჩქარე შენი პურის თესვაც, რადგანაც, რამდენათაც ადრე დასთესავ, იმდენათვე მეტს მოსავალს მიიღებ.

10. თესე არა ხელით, არამედ სათესი მანქანით რიგზე და არა გაბნევით, რადგანაც ხორბალიც ნაკლებად წაგივა რამდენიმე ფუთით და ერთ დროსაც ამოვა და მოიწევა ყოველი მარცვალი. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ რიგზე თესვა პურისა 30—40 ფუთით მეტს მოსავალს იძლევა დესეტინაზე. ოღონდ ეცადეთ მიწა კარგად იყოს მოხნული და დაფარცხული, რადგანაც უამისოდ სათესი მანქანა კარგად ვერ ივლის ნახნავში და ვერც სწორედ დასთესავს.

11. მიატოვე ხის იარაღებით მუშაობა და შემოიღე რკინისა და ფოლადის იარაღები, გუთნები თუ ფარცხები, რადგანაც ესენი უფრო მარჯვედ და კარგად ამუშავებენ მიწას.

12. გაამრავლე საქონელი, რომ მუდამ საკმაოდ გქონდეს დამიწებული ნეხვი, გაიტანეთ მინდვრად პურის მომკის უმალ, მოაბნიეთ იქ თანაბრად ერთი ვერშოკის სისქით (თითო ფუთი ნეხვი თვითეულ ოთხ-კუთხ საჟენზე) და მაშინვე ჩახანით მიწაში. ნეხვი უთუოდ დამიწებული უნდა იყოს და არა ნამჯიანი, თორემ მოსავალს მცირეს მიიღებთ, რადგანაც ნამჯით გაპოხიერებულმა ერთმა დესეტინა მიწამ მოიცა 111 ფუთი ხორბალი, დამიწებული ნეხვით გაპოხიერებულმა კი 161 ფუთი.

13. იკითხეთ ხშირად სამეურნეო წიგნები, ხარჯს ნუ დაერიდებით წიგნების ყიდვისთვის, რადგანაც შეუძლებელია, რომ რომელიმე მათგანმა ერთი ასად და ათასად არ აგინაზღაუროთ ყოველი ხარჯი.

14. ეცადეთ საეზოვოდ და ბაღ-ვენახად-ბოსტნად იქონიოთ საკუთრებად ორი-სამი დესეტინა მიწა, რომელიც თქვენს ნება-სურვილზე და გემოვნებაზე უნდა დაამუშაოთ და სამოთხედ აქციოთ იგი მთელი თქვენი ოჯახის დახმარებით, მაგრამ პურეულობისა და ბალახების თესვა და მათთვის მიწების დამუშავება-გაპოხიერება კი უთუოდ **საერთო** შემოიღეთ და უთუოდ იმ პირობით, რომ ამხანაგობის წევრად მთელი ოჯახი ითვლებოდეს და მოსავალიც უთუოდ ოჯახის შემადგენელ სულზე იყოფოდეს თანასწორად, რაც უნდა ღარიბი და უქონელი იყოს ოჯახი. ნუ იტყვით, რომ მე მეტი მუშა ხელი თუ საქონელი მყავს და იმას კი არაფერი აქვსო. ერთობა და ძმობა მეზობლობა ამას მოითხოვს და შენც დაუთმე, სულ რამდენსამე წელიწადში ღარიბიც გალონიერდება და ეს შენთვისვე იქნება კარგი...

15. დაგვეთანხმები, მხვნელ-მთესველო, რომ სჯობია ორი-სამი დესეტინა მიწა დაამუშავო კარგად, რომ მოსავალიც კარგი მიიღო, ვიდრე ხუთი და ათი დესეტინა მოხნა უხეიროდ და მოსავალიც ამის გამო უხეირო მიიღო. მართლაც, რად ვიწვალოთ ხუთი და ათი დესეტინის დამუშავებაზე, როცა არსებობს ისეთი დამუშავება, რომ დესეტინას შეუძლიან მოგვცეს ორასიდან ოთხას ფუთამდე ხორბალი და, მაშასადამე, ორი-სამი დესეტინა რომ დავამუშაოთ კარგად, მივიღებთ 400—1200 ფუთსა და მეტი რაღა გვინდა.

პირველყოვლისა კი გთხოვთ ის დაიხსომოთ, რომ გლეხურათ დამუშავებული მიწა საშუალოდ იძლევა 46 ფუთს ზამთრის პურს, მეცნიერულად დამუშავებული კი 11 ფუთსა, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ მეტს, ეს საცდელი მინდვრების გამოცდებით არის ნაანგარიშევი, ხოლო, როგორც კერძო ნასწავლ მეურნეებს გამოუცდიათ, დესეტინა, ხშირად, ორას და ოთხას ფუთსაც იძლევა, თუ ამინდებმა ხელი შეუწყის მოსავალს!..

სულ ადვილი კია ამოდენა პურის.. მოყვანა, საჭიროა მხოლოდ დაიხსომოთ ჩამოთვლილი წესები, შეასრულოთ იგი ბეჯითად და მოსავალსაც მუდამ კარგს მიიღებთ.

16. ერთი უდიდესი ნაკლი ჩვენი მეურნეობისა ის არის, რომ საქონელს საძოვარზე ატარებენ, რის გამოც აუარებელი ზიანი ეძლევა ქვეყანას, როგორც წანახედებით და მეურნეობის განვითარების შეფერხებით, ისე ნეხვის დაკარგვით და კიდევ იმით, რომ საქონელი უპატრონობით ხშირად ნახევრად მშიერი ბრუნდება შინ და ამის გამო გამჭლეველებულია. საჭიროა აუცილებლად სავალდებულო კანონად შემოვიღოთ საქონლის შინ ყოლა მთელი დღით განგებ ამისათვის მოწყობილს ბაკში და მხოლოდ წყლის დასალევად თუ გასატარებლად (გასასეირნებლად) გამოიყვანთ იქიდან დღეში ორჯელ.

17. ნუ დაკმაყოფილდებით ნურასოდეს ბუნებრივი სათიბებით მინდვრად და ვენახებშა. შემოიღეთ უთუოდ საგანგებოდ თესვა და მოყვანა საქონლისათვის საჭირო ბალახებისა და საკვებისა, რადგანაც ბუნებრივი სათიბი იძლევა დესეტინაზე 40—50 ფუთს თივასა, დათესილი კი 300—5000 ფუთსა, მაგ., ჭარხალი. ეს კი ისეთი მოსავალია, რომ ღირს კაცმა მისთვის ცალკე იზრუნოს.

18. ნურც მარტო წმინდა მიწად-მოქმედებით დაკმაყოფილდებით თქვენს მეურნეობაში. მისდიეთ ისევე ერთგულად და თავ-გამოდებით მთელი თქვენი ოჯახით სამრეწველო საქმეებსაც: ერბო-კარაქისა და ხაჭო თუ ყველის კეთებას უხვად სახმარად და გასაყიდად. მისდიეთ ფართედ აგრედვე შინაური ფრინველისა და საქონლის მოშენებასაც, ჭურჭლის კეთებას თუ კრამიტ-აგურის მოჭრას და კირის დაწვას, ხე-ტყის მასალის შემზადებას და მანქანების კეთებას თუ გამოგონებას-გამოცდას, ყოველგვარ ხილეულობისა და სასმელების შემზადებას და მომარაგებას საოჯახოდ თუ გასაყიდად, ყველა საქმეა და ვისაც რა საქმე მისცემს ხელს, უთუოდ სამრეწველო საქმეც უნდა აწარმოვოს, თანასწორ მიწად-მოქმედებასთან. ნუ იტყვით, რომ სადა მცალიან მაგდენი საქმეებისთვისო?! არა, უნდა ნამდვილი ხერხი ვიყოთ, გაგვქონდეს და გამოგვქონდეს, თვითონაც ვიცხოვროთ და სხვაც ვაცხოვროთ, რაც შეგვიძლიან თითონ ვაკეთოთ, რაც არა, სხვას გავაკეთებინოთ, ნუ მოადუნებთ ნურც ოჯახს და ნურც ქვეყანას—მეზობელს, ყველა გასარჯეთ, აფხიზლეთ. გააძლიერე შენი ოჯახი ნამდვილ სამეურნეო-სამრეწველო-საალბ-მიცემო ამხანაგობამდე. სისტემა და ორგანიზაცია, აი რა გაგვაძლიერებს ქართველებს. ცხოვრება ხუმრობა არ არის: გვინდა თუ არ გვინდა, უთუოდ უნდა შევეწყვნეთ ერთმანერთს და ცხოვრება-მოქმედებაც გონივრულად მოვაწყოთ, თუ გვინდა, რომ კაცურ კაცობას და ადამიანობას ვეწიოთ.

19. ერთ-ერთს ჩემს წერილში მე გირჩევდით ფეტვის მოყვანას ვენახებში სათივოდ. კარგია და ფრიად სარფა და სასარგებლო თვით ვენახისათვის ეგრედწოდებული კუტი ლობიოს მოყვანაც, რომელიც ერთი მტკავლის სიმაღლო რომ გახდება, კვლავ გათოხნას თხოულობს და ამით ძალიან რგებს ვენახს დიდს და კარგს მოსავალსაც იძლევა ხიდმე.

20. კარგია აგრედვე სასიმინდე მინდვრებში ამავე ლობიოსი, გოგრისა, კიტრისა და სხ. მოყვანა. როცა სიმინდს დასთესავთ და ერთ მტკაველზე რომ გაიზრდება, ვიდრე სიმინდის თოხნას შეუდგებოდეთ, ჯერ ლობიო, გოგრა თუ კიტრი მოაბნიეთ მთელს სიმინდში და მერე გათოხნეთ. სიმინდს ამ ახალი მცენარეების გულისთვის მეორედ დასჭირდება გათოხნა და ესეც ძალიან ხელს შეუწყობს სიმინდის და თვით მიმატებულ მცენარეების კარგს მოსავლიანობას. თქმა არ უნდა, რომ ყველა ეს მცენარეები ერთ დროსაც შეიძლება დაითესოს, ოღონდ ჯვარედინად უნდა დაიფარცხოს მინდორი, რომ ყოველი თესლი კარგად ჩაიფლას მიწაში მიიღებთ ორ-სამკეც მოსავალს, ე. ი. სიმინდს, ლობიოს და გოგრას, სამივეც ჩვეულებრივზე მეტს თუ არა, ნაკლებს არა. მისდიეთ ასეთს რთულს მეურნეობას და თავის დღეში არ გეცოდინებათ რა არის შიმშილი და უმუშევრობა.

ივ. როხტომაშვილი.

ᲞᲠᲘᲭᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ

ᲘᲚᲦᲐᲚᲘᲓᲐᲜ. ჩვენი მაზრა—ქიზიყი—ბევრნაირად შესანიშნავი კუთხეა ჩვენის ქვეყნისა.

ბუნების სიუხვე აქ საარაკოა: მოდის ყველანაირი მცენარე და მისდევენ ყოველგვარ საქონლის მოშენებას. ამ მშვენიერ ბუნების წიაღში ცხოვრობს ხალხი, ძალიან ჩამორჩენილი სხვებზედ კულტურულად.

დავიწყოთ თუნდ იქიდან, რომ ყოველ დარგს თავის მეურნეობისას ქიზიყელი აწარმოებს იმ იარაღებით და იმ ხერხით, როგორც აწარმოებდა მისი შორეული მამა-პაპა ასისა და ათასი წლის წინად.

ჯერ ქიზიყელებისთვის არ დამდგარა „საუკუნო ორთქლისა და ელექტრონისა“. მიუხედავად უკულტურობისა ქიზიყის ხალხი მდიდარია. ეს აიხსნება იმით, რომ ამაყმა ქიზიყელმა არ განიცადა ბატონ-ყმობის უღელი და სახნავ-სათესი მამული იმთავითვე სიკმარისზედ მეტი ჰქონდა.

ქიზიყელი კაცის მეურნეობა მრავალ-ფეროვანია: მან არ იცის გადაყოლა ერთს რომელსამე დარგზე. ის მხვნელ-მთესველიც არის, მევენახეც, მეცხვარეც, მეღორეც, თამბაქოსაც სთესავს, დედაკაცებს ჭიაც მოყავთ. ამჟამად ეჩვენიან ბამბის თესვასაც.

ასეთს მრავალ-ფეროვან მეურნეობას ის უპირატესობა აქვს, რომ თუ ერთი დარგი მეურნეობისა დაზარალდა რაიმე სტიქიური უბედურობით, მეორე და მესამე დარგი გამოაკეთებს ზარალს.

ქიზიყის უკულტურობის ბრალია მისი განუყრელი ბოროტება, რომელსაც ეწოდება ბანდიტობა.

ბანდიტობა, ყაჩაღად გასვლა ტყეში-ვაჟკაცობაა ქიზიყელის თვალში, კაცურ-კაცობაა. მუდამ შინ ჯდომა დიაცის ხელობააო, და აი ჩვენ ვხედავთ ბანდიტებს შორის კარგ ოჯახიშვილებს, ის არც „ბატონის მათრახს“ გაექცა, არც შიმშილს: ის გავარდა ყაჩაღად საყოჩაღოთ, სახელის მოსახვეჭად.

ამ ანგარიშში მოტყუვდნენ და უკანასკნელ ხანებში 26 ვაჟკაცი გამოეთხოვა წუთი-სოფელს ბანდიტური სულის კვეთების გამო.

საქმე იყო ასე. გამოჩენილი თავისის სიმკაცრით ყაზაღი მოლაშვილი გამოვიდა ტყიდან თავისი სამი ამხანაგით და გამოცხადდა კახეთის პოლიტ-ბიუროში, გამოაცხადა მორჩილება და ითხოვა პატიება.

მას დაპირდნენ პატიებას, თუ ის გამოიყვანდა სხვებსაც. დატრიალდა მოლაშვილი და მალე მისებრ გამოცხადნენ თავის ნებით 26 სხვა ბანდიტიც.

მათ შორის იყო პოლიტიკური ბანდიტი და ამხანაგი ჩოლოყაშვილისა თამაზაშვილი. გამოვიდა აგრეთვე თავ-ზარი დამცემი ყაჩაღი გიჟო, რომელიც ავაზაკობდა ჯერ ისევ ნიკოლოზის მთავრობის დროს და რომლის დაჭერა ვერავინ მოახერხა.

ყველა ესენი მიიღო ადგილობრივმა ხელის უფლებამ, აპატია მათი შეცოდებანი და გაუშვა სახლებში მშვიდობიანად საცხოვრებლად, გადიოდენ დღეები, კვირები. მაზრა დამშვიდდა, დაწყნარდა, ბანდიტობა მთლად მოისპო და აღიგავა მთელს მაზრაში.

უცებ, მოულოდნელად გაიცა ბძანება, რომ ყველა ეს 30 კაცი, ყოფილი ბანდიტები, ერთს დღეს ამოეხოცათ. დაიგზავნა აქეთ-იქით რაზმები და ეს განკარგულება 27 აგვისტოს სისრულეში იქმნა მოყვანილი. სამმა კაცმა მოახერხა გაძცევა. დანარჩენნი დახვრეტილ იქმნენ. მათ შორის ცნობილი მოლაშვილიც.

რა იყო მიზეზი ასეთის მოულოდნელობისა?

ეს მიზეზი-ამცნო საზოგადოებას კახეთის პოლიტ-ბიურომ განცხადებით შემდეგის შინაარსისა:

Ა. ბიურომ მიიღო უტყუარი ცნობა, რომ ნაპატიებელ ბანდიტებს ჰქონიათ თათბირი და მოუწყვიათ შეთქმულობა, რათა ერთს დღეს (28 აგვისტოს) დაეცნენ სიღნაღს, ამოხოცენ პასუხის-მგებელი კომუნისტები, გაძარცონ ხაზინა და სახელმწიფო ბანკი და ისევ წავიდნენ ტყეში. ამ საქმის მომწყობნი იყვნენ თამაზაშვილი, მოლაშვილი და ჩითინაშვილი. ამის გამო პოლიტბიურომ ცენტრის დასტურით გადაწყვიტა მათი მოსპობაო. ასე ძვირად დაუჯდათ ტყეში თარეშობა საწყალ ქიზიყელებს.

მაგრამ მოვტყუვდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მარტო დახვრეტითა და სახრჩობელათი ჩვენ მოვსპობთ ქიზიყში ბანდიტობას.

ამას მოსპობს კულტურის შეტანა, სწავლა-განათლების გავრცელება, სკოლები, ლექციები, პროპაგანდა, წიგნები, გაზეთები, თეატრები და სხვა. კეთდება რამე ქიზიყისთვის ამ გზით და თუ კეთდება, რა და რაგვარად,—ამაზედ მოგახსენებთ შემდეგ წერილში.

ქიზიყელი.

სოფ. ᲢᲑᲐ. ეს სოფელი მდებარეობს ბაკურიანის რკინის გზის ხაზზე, ცემიდან ჩრდილო-დასავლეთით ორი-სამი ვერსის მანძილზე. ამ სოფლის მდებარეობა, ჰავა და ჰაერი მეტად კარგ მომავალს უქადის ამ სოფელს, როგორც სააგარაკო ადგილს. სოფელი გაშენებულია მთის კალთებზე, რომელიც ფიჭვითა და ნაძვით არის დაფარული და საუცხოვო ადგილია ყველა ფილტვებით სნეულ ავადმყოფთათვის. აქვე მოიპოება მინერალური წყლები სხვადასხვა ღირსების, რომელნიც გამოკვლევას და გამოყენებას უცდიან. აუცილებლად საჭიროა, რათა ამ ადგილს ყურადღება მიექცეს და მომავლისათვის ხეირიანი სააგარაკო ადგილი მოეწყოს.

წელს სოფ. ტბასთან დაარსებულ იქნა რკინის გზის პლატფორმა მატარებლისათვის, რაც საშვალებას აძლევს მგზავრთ ცემის მაგივრად აქვე მოვიდენ თავიანთი ბარგებით. სოფელი ახლად შენდება და საჭიროა გორის სამაზრო აღმასკომის დახმარება მცხოვრებთათვის. სულ მალე აქ აყვავებულ აგარაკს ვიხილავთ!

გოჩა.

2.

აგარაკი ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝ. ძალიან მოკლეთ განვიხილავ არსებული გზების მდგომარეობას და მათ ღირსება-ნაკლულევანებას.

ᲕᲐᲙᲘᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲖᲐ ყველაზედ უძველესია, მისი ნიადაგი მაგარია, შედარებით აღმართია, მაგრამ დიდი აღმართები და სიპი ქვები მუდმივ საფრთხეს წარმოადგენენ მგზავრისათვის ამ გზით ოზურგეთიდან 44 ვერსია.

ᲐᲡᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ ყველაზედ უმოკლესია, დარში კარგი სამგზავროა, მაგრამ ნიადაგი ძალიან რბილია და ავდარში დიდი ტალახები იცის ამ გზით ოზურგეთიდან ბახმარომდე 30 ვერსია.

ᲔᲠᲙᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐ შესანიშნავია მით, რომ გამოივლის მჟავე წყლებზე (ეს წყლები ბახმაროდან 10 ვერსზეა) ნიადაგი რბილია, აღმართები დიდი. ამ გზით ჩოხატაურიდან ბახმარომდე 40 ვერსია.

ყველა ამ გზებზე შეიძლება სიარული ფეხით ან ძალიან გამოცდილი ცხენით და ისიც დიდი სიფრთხილით. ძალიან ხშირი იყო უბედური შემთხვევები.

არის პროექტი საურმე გზის გასაყვანათ ანუ ამაშუკელის და კენეკის. ეს გზა გაივლის სოფ. ვაკიჯვარში და შეუყვება მდ. ბახვის წყლის პირს. შედარებით ნაკლები აღმართებით და მაგარი ნიადაგით ხასიათდება ეს ჯერ არ არსებული გზა.

თუ მხედველობაში მივიღებთ შრომის ბეგარას —ამ გზის გაკეთება დაჯდება დაახლოვებით 15.000 მ. ოქროთი. ეს მორიგი ამოცანაა საბჭოთა ხელისუფლების. აქ უსუსური იქნება ყოველგვარი კომისია, თუ მთავრობამ თითონ არ მოჰკიდა ამ დიდ საქმეს ხელი. არსებული გზების შეკეთება დროებითი ზომაა და უკეთ რომ ვსთქვათ ტყვილა დროს დაკარგვა და ხალხის მოცდენაა.

ნატანებ-ოზურგეთ შუა რკინის გზის გაყვანის შემდეგ ბუნებრივად ეაისმება საკითხი, ოზურგეთის ამ უკვე ფაქტურად ქალაქი-შეერთება საუკეთესო აგარაკთან ბაკურიანი, გადალახვა იმდენათ დიდი და [illegible] საკითხია, რომ ახლო მომავალში უნდა გადაიჭრას.

გადავიდეთ ბახმაროს 1923 წლის ე. წ. გამგეობის მოღვაწეობაზე.

უმთავრესი საქმე ეს იყო სანიტარია.

ანტისანიტარულ მდგომარეობას გამგეობამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება და მიიღო ზომები.

რომ აგარაკის ფარგლებში არ შემოსულიყვნენ შინაური ოთხფეხი ცხოველები გამგეობამ დაარსა განსაკუთრებული რაზმი, რომელიც იჭერდა ოთხფეხ საქონელს და პატრონებს აჯარიმებდა. როგორც მკითხველი ხედავს ეს საშუალება ერთ და იმავე დროს სიწმინდის დასაცავიც არის და შემოსავლის წყაროც გაუჩენია გამგეობას.

უნდა ითქვას, რომ წელს ეს საშუალება თუმცა არა ძალიან კარგი, მაგრამ მაინც ერთად ერთი იყო. არ მახსოვს კარგათ რომელ წელიწადში, ასეთ საშუალებას მიმართეს, შემოსულ ღორებს კლავდენ სხვა ოთხფეხს კი ხელს არ ახლებდენ. წელს აგარაკის ფარგლებში შედარებით დაცული იყო სიწმინდე, მაგრამ ძალიან ბევრი ღარიბი დაზარალდა დაჯარიმებით. ხშირად შეხვდებოდით საქონლის დასაჭერ ჩიხთან მოხუცებულ დედა კაცს, რომელიც მდუღარე ცრემლებით სტიროდა და ითხოვდა დაებრუნებიათ უფულოთ მისი ერთად ერთი „მარჩენალი“. „რაზმის“ სისასტიკე უმაღლეს წერტილს აღწევდა, მისთვის არავითარი გამონაკლისი არ არსებობდა დიდი ჯოგის პატრონისათვის არაფერია 2.500 000 მანეთის გადახდა, მაგრამ ზოგიერთებისათვის ეს ძნელი ხდებოდა. ექიმ დავიდიანს უთქვამს ერთხელ „გურიის ხალხმა რომ იცოდეს თუ რა არის მისთვის ბახმარო, ჭადს აიტანს და „შესჭამსო“ თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი ოჯახის სიღარიბეს და ოთხფეხის (საქონლის) შეუნდობლობას“, რომელიც ორი—სამჯერ პატრონის დაკითხვად გადავიდოდა აგარაკის ფარგლებში, უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დაჯარიმება უდრიდა ატანილი მჭადის ხელიდან გამოცლას.

ამას გარდა, იმ დროს, როცა აგარაკის ფარგლებში შინაური ცხოველის შემოსავლისათვის პატრონს აჯარიმებდნენ ზოგიერთ „მთავრობის კაცებს“ მთელი სეზონის განმავლობაში შუაგულ აგარაკებათ ძროხები.

ეს შეიძლება პირველი შეხედვით წვრილმანი იყოს, მაგრამ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ნაძვნარი. სოლების უკანა ნაწილი ნაძვნარისკენ არის მოქცეული და სახლებიდან ოცი საჟენის მანძილზე იშვიათად შეხვდებით ნაძვს ან ფიჭვს, რომლის ძირში შესაძლებელი იყოს მოსვენება. სამწუხაროა, რომ ჩვენ უვიცობის, სიბინძურის და უკულტურობისაგან ჩვენივე თავის დასაცავად მავთულის ხლართებს გვიხდება ლაპარაკი, მაგრამ წელს თუ ვერ შესძლო გამგეობამ, მომავალში მაინც ასე უნდა მოეწყოს: მთელ აგარაკს შემოევლოს ეკლიანი მავთული ფარგალში უნდა მოჰყვეს ნაძვნარი სახლებიდან დაახლოვებით ოცდა ათი საჟენის მანძილზე და ამ ნაძვნარის სისუფთავეზე პასუხისმგებელი იყოს თვით მოაგარაკენი. თუ რომელიმე სახლის უკან ნაძვნარში არ იქნება დაცული სისუფთავე, სათანადო ორგანომ (სანიტარულმა კომისიამ) პასუხი უნდა მოსთხოვოს, დააჯარიმოს ამ სახლში მცხოვრებნი. მავთულის ხლართები დაიფარავს აგარაკს ოთხფეხ საქონელის შემოსევისაგან და ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული. ბახმაროსათვის აუცილებელია აგრეთვე კანალიზაცია—უშნო სახიფათო ფეხისადგილებიდან უსათუოდ უნდა გამოთავისუფლდეს აგარაკი. კანალიზაციისათვის ბახმაროს მდებარეობა არ არის მაინც და მაინც სახეგრო, ამის გახხორციელება იაფი არ დაუჯდება, მაგრამ აუცილებელია ამ საქმის სისრულეში მოყვანა რაც შეიძლება მოკლე დროში.

გამგეობის მუშაობიდან აღსანიშნავია სასალაოს მოწყობა და რაც ყველაზედ თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავია სანატორიუმის აგების დაწყება. ამ დიდ საქმეს საფუძველი უკვე ჩაეყარა და თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას კურორტისათვის, ვფიქრობ ყველასათვის ცნობილია.

როგორია ბინების საკითხი, ამაზე შემდეგ.

ხ. ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. ს. ჭეიშვილის წერილში შეცდომით არის დაბეჭდილი „ბახმარო ზღვის დონედან 901 საჟენის სიმაღლეზეა“—უნდა იყოს **891 საჟენის სიმაღლეზეა.**

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲐᲛᲮ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

გთხოვ ადგილი დაუთმოთ ჩემს განცხადებას თქვენ გაზეთის ფურცლებზე. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მე არც ერთ პოლიტიკურ. პარტიაში მონაწილეობა არ მიმიღია, დღეს კი დავრწმუნდი, რომ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები დგანან მტკიცედ ეროვნულ ნიადაგზე და არიან დამცველნი მუშათა კლასის ინტერესებისა. ამიტომ მსურს დღეიდან ამ პარტიაში მუშაობა.

დ. ᲪᲘᲑᲐᲫᲔ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲞᲠ. ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 609 ᲡᲢᲐᲛᲑᲐ გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, ტფილისი, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲥᲣᲩᲐ № 4